უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი **26.12.2017**

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თენგიზ ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
ნანა შარიქაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
თამარ იოსელიანი - სსიპ - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
გიორგი ისაკაძე - ა(ა)იპ - ბიზნესმედია საქართველოს დამფუძნებელი;
მაგდა მაღრაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდ - საქართველოს (MCA – Georgia) აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთი ცოტნიაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
მარიამ ღამბაშიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

სერგო ტეფნაძე - რექტორი;
ემზარ ბარბაქაძე - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
გიორგი ინასარიძე - რექტორის მოადგილე საფრენოსნო დარგში;
დავით ტეფნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ბექა ბუიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
დიტო ლომიძე - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წარმომადგენელი.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ლევან ჯაყელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ფრიდონ გოგიაშვილი;
მარინა გოგოლაძე;
ლაშა საღინაძე;
ეკა ლუაშვილი;
ნატო ალავიძე;
შორენა ჯაფარიძე.

სხვა დამსწრე პირები:

მამია ჯანჯალია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის დირექტორი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით;
ეკატერინე ნარეშელაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო ჯგუფის უფროსი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:05 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია, ასევე, მონაწილეობდეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული 2 პირი. თავმჯდომარის გადაწყვეტილებით 26 დეკემბრის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები, მამია ჯანჯალია და ეკატერინე ნარეშელაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ამერიკის ბიზნესის აკადემიისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს ამერიკის ბიზნესის აკადემიისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს გააცნო საქმის ვითარება. მისი განცხადებით, შპს ამერიკის ბიზნესის აკადემიაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი ჩაინიშნა ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 დეკემბრის №792 ბრძანებით დადგენილ თარიღებში.

15 დეკემბრის წერილით დაწესებულებამ ითხოვა დაგეგმილი მონიტორინგის ვიზიტის 2 კვირით გადავადება, რის საფუძვლადაც დასახელებული იყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული სადამფუძნებლო ცვლილებები და დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების პროცესი. აღნიშნულ თხოვნას ცენტრის მხრიდან ეთქვა უარი იმ მიზეზით, რომ დაწესებულება ვალდებულია მინიჭებული ავტორიზაციის პერიოდში უზრუნველყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილება უწყვეტ რეჟიმში. წერილში მოცემული გარემოებები არ ათავისუფლებდა დაწესებულებას ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობისგან და მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი არ გადაუვადდებოდა.

შპს ამერიკის ბიზნეს აკადემიის დირექტორის, თამარ გელიაშვილის მიერ 2017 წლის 18 დეკემბერს ცენტრში წარმოდგენილი წერილის (ცენტრში რეგისტრაციის №1545442) მიხედვით, დაწესებულებამ ითხოვა ძალადაკარგულად გამოცხადებულიყო ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 დეკემბრის №792 ბრძანება დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის შესახებ და ასევე, ავტორიზაციის საბჭოს გაეუქმებინა ავტორიზაცია. მათივე განცხადებით, დაწესებულებაში მიმდინარეობდა საქმიანობის გადაბარების პროცესი, რისთვისაც მათ ესაჭიროებოდათ გონივრული დრო საქმის მოსაწესრიგებლად. ასევე, ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ჰყავდა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, უარი თქვას საგანმანათლებლო საქმიანობაზე. ამასთანავე, დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელი შეუწყოს სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს მობილობის პროცესში.

ლაშა მარგიშვილის განცხადებით, თუკი საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებულობას აღნიშნულ საკითხთან და მობილობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკის ბიზნესის აკადემიისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 28-ე მუხლის საფუძველზე, შპს ამერიკის ბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 206036083) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა საღინაძემ. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად მიიჩნევდა, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსი იყო ადეკვატური, თუმცა, რიგი პროცესები საჭიროებდა დახვეწას და მეტ ფორმალიზებას. ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში ასახული იყო ის აქტივობები, რომელთა შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული ამოცანების შესრულება. ხოლო რაც შეეხებოდა პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, მათი აზრით, ეს გამოიწვევდა სტრატეგიულ გეგმაში ხშირი ცვლილებების შეტანის აუცილებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ნაგულისხმევი იყო არა კონკრეტული პირები, არამედ თანამდებობები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პერსონალის დატვირთვა აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებზე იყო გამიჯნული და ერთობლიობაში არ აღემატებოდა მათთვის კონტრაქტით განსაზღვრულ საათობრივ (კვირაში 8-საათიანი) დატვირთვას. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, კერძოდ, მათ მიერ პერიოდულად ტარდება კვლევა არსებული პროგრამებზე მოთხოვნის, დამსაქმებლების, სტუდენტთა მობილობის მიმართულებით. აღნიშნული ინფორმაციის, უნივერსიტეტის ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან შეჯერების შედეგად განისაზღვრება მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტი. მისი განმარტებით, აღნიშნული მოთხოვნები უნივერსიტეტისთვის იყო ახალი და გამოვლენილი გამოწვევების შესაბამისად დაიხვეწებოდა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის სასწავლო გარემოს სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს საკუთრებაში გააჩნია „ბოინგ 737-200“ ტიპის საჰაერო ხომალდი, რომელიც ტექნიკური მომსახურების თვალსაზრისით სრულიად გამართულ მდგომარეობაში იყო. ხოლო რაც შეეხებოდა ანგარს, მასზე მიმდინარეობდა მილენიუმის პროგრამით

გათვალისიწინებული სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ პრაქტიკული სწავლების სივრცე სრულ შესაბამისობაში იქნებოდა დაწესებულ მოთხოვნებთან.

საბჭოს წევრი, გიორგი ისაკაძე, დაინტერესდა, გაეცნენ თუ არა ექსპერტები დამსაქმებლების წერილებსა და რეკომენდაციებს, რადგანაც, მისი თქმით, არსებობდა იმის საშიშროება, რომ აღნიშნული რეკომენდაციები, შესაძლოა, არ ყოფილიყო, მიზნობრივად გაცემული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ისინი გაეცნენ დოკუმენტაციას, სადაც ავიაკომპანიების წარმომადგენლები ადასტურებდნენ სტუდენტთა მომზადებით დაინტერესებას სამომავლო დასაქმების პერსპექტივით. ხოლო უშუალოდ შეხვედრა პოტენციურ დამსაქმებლებთან ვიზიტის ფარგლებში არ შემდგარა.

საბჭოს წევრი, გიორგი ისაკაძე, ასევე დაინტერესდა, რამდენად აქვს დაწესებულებას შრომის ბაზრის მოთხოვნა შესწავლილი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი პერიოდულად ატარებდნენ კვლევას დამსაქმებლებს შორის და მათი კურსდამთავრებულების მოთხოვნას შრომის ბაზარზე ადასტურებდა კურსდამთავრებულთა 70-80%-იანი დასაქმების მაჩვენებელი.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე, დაინტერესდა, უცხო ქვეყნის რამდენი მოქალაქე სწავლობდა ამჟამად უნივერსიტეტში და 105 ადგილიდან რამდენი იყო განსაზღვრული მათთვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ამჟამად უნივერსიტეტში დაახლოებით უცხო ქვეყნის 70 მოქალაქე სწავლობდა. რაც შეეხებოდა ახალ პროგრამებს, მათი თქმით, აღნიშნულ პროგრამებზე სწავლით უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაინტერესება საკმაოდ მაღალი იყო.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე, ასევე დაინტერესდა, ვინ არიან კონკრეტული დამსაქმებლები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დამსაქმებლები არიან ქართული და საერთაშორისო ავიაკომპანიები - ავიაკომპანია თუში, ავიაკომპანია Georgian Airways, ასევე, აეროპორტები, საავიაციო ტექნიკური მომსახურების საწარმოები, საავიაციო ქარხნები,

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ მისი რეკომენდაცია იქნება, დაწესებულებამ გამიჯნოს ერთმანეთისგან პროფესიული მასწავლებლები და აკადემიური პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ განისაზღვრება სტრატეგიული გეგმა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ჩართული არიან სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. იმართება რეგულარული შეხვედრები, სადაც განისაზღვრება პრობლემები, გამოწვევები და მიღებული ინფორმაციის შეჯერებით დგინდება სტრატეგიული გეგმის ძირითადი საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი -1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა, გიორგი ისაკაძემ.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-

ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206155328) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ფრიდონ გოგიაშვილმა. მისი განმარტებით, დაწესებულების სურვილი იყო დაემატებინა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია და საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი, დაინტერესდა, თუ ვის მიერ არის დადგენილი სერთიფიკატის წარდგენის აუცილებლობა. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ განმარტა, რომ ტრანსპორტის ზოგიერთი სახეობები, მათ შორის, საზღვაო ტრანსპორტის, ექვემდებარებოდა საერთაშორისო ნორმებს, სერთიფიკატებს კი, გასცემდა „სამოქალაქო ავიაციის სააგენტო".

საბჭოს წევრი, დაინტერესდა, თუ როგორ არის აღნიშნული საკითხი ასახული საგანმანათლებლო ნორმატიულ აქტებში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საგანმანათლებლო ნორმატიული აქტების შემუშავებაში ჩართული იყო სამოქალაქო ავიაციის სააგენტო და პროგრამაში განსაზღვრულია საერთაშორისო ნორმების გათვალისწინება.

დაწესებულების რექტორმა დასძინა, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ორიენტირებული იყო საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებაზე, ამ ეტაპზე პროგრამული აკრედიტაციის მიზნით, უნივერსიტეტში დაგეგმილი იყო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა, გიორგი ისაკაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 25-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა, გიორგი ისაკაძემ.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206155328) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	სწავლების ენა	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია Aircraft flight exploitation (041664)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში	ინგლისური	59	25	ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. №16
2	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება Aircraft Maintenance (041665)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში	ინგლისური	127,5	90	ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. №16

4. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით საბჭოს მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატო ალავიძემ და ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ. ექსპერტთა ჯგუფი მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად მიიჩნევდა, რომ ვიზიტის მომენტში სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდებოდა სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ლევან ჯაყელის, განცხადებით, აღნიშნული პროფესიული პროგრამების შემუშავებისას არ არსებობდა ჩარჩო დოკუმენტი, შესაბამისად, დაწესებულებამ, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, შეიმუშავა საზღვაო ლოჯისტიკის პროგრამა. დასამტკიცებლად წარდგენისას, აღნიშნული პროგრამის ჩარჩო და სტანდარტები უკვე შემუშავებული იყო, შესაბამისად დაფიქსირდა აცდენა ჩარჩოსა და დაწესებულების მიერ წარდგენილ პროგრამას შორის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა სახის განსხვავება იყო არსებულ პროგრამასა და შემუშავებულ ჩარჩოს შორის.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, განსხვავება მდგომარეობდა, როგორც სასწავლო საფეხურებში, ასევე კრედიტების რაოდენობასა და სასწავლო ლიტერატურაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა, გიორგი ისაკაძემ.

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატო ალავიძემ. ექსპერტთა ჯგუფი მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად მიიჩნევდა, რომ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად მატერიალურ-ინფრასტრუქტურული რესურსი და აკადემიური პერსონალის რაოდენობა იყო ადეკვატური, ხოლო ადმინისტრაციული რესურსი, შეთავაზებული სერვისები, ორგანიზაციული და ხარისხის უზრუნველყოფის არსებული პრაქტიკა მოითხოვდა მეტ სტრუქტურიზაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ლევან ჯაყელის, განცხადებით, უნივერსიტეტის მზაობა დამატებითი 1000 სტუდენტის მისაღებად განისაზღვრებოდა რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის, აღსანიშნავი იყო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენად დიდი იყო აღნიშნულ დაწესებულებაში სწავლების მსურველთა რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სწავლის მსურველთა რაოდენობა იყო მზარდი, განსაკუთრებით ნავიგაციის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამასთანავე, ბოლო 3 წლის განმავლობაში ადგილების შეზღუდული რაოდენობის გამო, დაწესებულებას არ ჰქონდა გამოცხადებული გარე მობილობა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ვინ იყვნენ დაწესებულების მთავარი დამსაქმებლები და კურსდამთავრებულთა რამდენი პროცენტი იყო დასაქმებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კურსდამთავრებულთა 70% იყო დასაქმებული. მან ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის დასაქმების მთავარი გამოწვევა ინგლისური ენის ცოდნა წარმოადგენდა.

საბჭოს წევრი, გიორგი ისაკაძე, დაინტერესდა, თუ რა ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეს ექსპერტებმა, რომ უნივერსიტეტს საკმარისი შემოსავლები გააჩნდა არსებული ვალდებულების, მიმდინარე და სხვა საჭირო ხარჯების ანგარიშსწორებისთვის. მაშინ, როდესაც დაწესებულებაში ბოლო საგადასახადო შემოწმება ჩატარდა 2015 წელს, გარე აუდიტორიული მომსახურება კი- 2013 წელს.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ისინი დაეყრდნენ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ შესაბამის დოკუმენტაციას.

საბჭოს წევრი, მაგდა მაღრაძე დაინტერესდა, თუ რა სპეციალობაზე სწავლობდნენ უმეტესად, დაწესებულების სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სტუდენტების მიერ არჩეული სპეციალობები, ძირითადად, მოიცავდა საზღვაო სფეროს, თუმცა, ასევე აღსანიშნავი იყო ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი.

საბჭოს წევრი, მაკა გველესიანი, დაინტერესდა, რადგანაც დაწესებულების მხრიდან დასაქმებულობის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონე დასახელდა, რა გეგმები ჰქონდა უნივერსიტეტს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესებისა და სტუდენტთა მოტივაციის გაზრდის მიზნით, დაწესებულების სასწავლო დეპარტამენტი აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად. ამასთანავე, საზღვაო სპეციალობაზე მიღების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის ცოდნა.

საბჭოს წევრი, რიმა ბერიაშვილი, დაინტერესდა, ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, რამდენად იყო დაწესებულება მზად სტუდენტთა კონტინგენტის გასაზრდელად და რამდენად საკმარისი იყო პროფესურის/სტუდენტთა შეფარდება 1/48.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ თანაფარდობას ითვალისწინებდა ძველი სტანდარტი და კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფდა საშტატო განრიგის ცვლილებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, „ათასწლეულის განვითარების ფონდის" გრანტის ფარგლებში, რამდენი სტუდენტის მომზადების ვალდებულება ჰქონდა დაწესებულებას აღებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გრანტის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა 164 სტუდენტის გადამზადების ვალდებულება აღებული.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 20:30 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 20:45 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3 000-ით, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი -1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა, გიორგი ისაკაძემ.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337) სტუდენტთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა განესაზღვროს 3 000-ით, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 20:53 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი